

შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

და

დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიში

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	2
დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში	3
კონსოლიდირებული საბალანსო უწყისი	4
სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული უწყისი	6
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული უწყისი	7
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8
ანგარიშგების ბოლო ფურცლის ნომერი არის	29

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც მოიცავს შპს სადაზღვევო კომპანია "ალფას" და მისი 100%-იანი შვილობილის შპს "მედალფას" (ერთად "ჯგუფი") ფინანსურ ინფორმაციას და რომელიც წარმოდგენილია 5-დან 29-ე გვერდის ჩათვლით, პასუხისმგებელია სადაზღვევო კომპანია "ალფას" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

მაკა სოლოლაშვილი

გენერალური დირექტორი
შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"

რევაზ მახარაძე

ფინანსური დირექტორი
შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"

თარიღი: 15 მაისი, 2015

შპს "სადაზღვევო კომპანია ალფას" დამფუძნებლებს

დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში

ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიცირება

1 ჩვენ ჩავატარეთ შპს "სადაზღვევო კომპანია ალფას" და მისი შვილობილი კომპანია შპს "მედალფას" (შემდგომში "ჯგუფი") თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, კონსოლიდირებულ სრული შემოსავლების ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე, მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

2 წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე პასუხისმგებელია ჯგუფის მენეჯმენტი. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისათვის შესაბამისი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

3 ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი მოიცავს პროცედურებს აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. კონკრეტული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, რაც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკის შეფასებას. რისკის ასეთი შეფასებისას, აუდიტორი განიხილავს იმ შიდა კონტროლის მექანიზმებს, რომელიც მნიშვნელოვანი და შესაფერისია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რათა დაგეგმოს არსებული პირობებისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოხატოს საკუთარი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე მოიცავს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობის შეფასებასა და მენეჯმენტის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობის, ასევე მთლიანობაში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოსაზრების გამოხატვისათვის.

Address: 85, Paliashvili., 0162, Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 2 24 30 30 | 2 24 30 31
Fax: +995 32 2 93 57 94 | E-Mail: pkf@pkfgeorgia.com | URL: www.pkfgeorgia.com

PKF Georgia LLC is a member firm of the PKF International Limited network of legally independent firms and does not accept any responsibility or liability for the actions or inactions on the part of any other individual member firm or firms.

დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში (გაბრძნობა)

მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

4 ჩვენი აზრით, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი საკითხის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

PKF Georgia Ltd

თარიღი: 15 მაისი, 2015

კვერდი 3

შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"
 კონსოლიდირებული საბალანსო უწყისი
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2014 წელი	31 დეკემბერი, 2013 წელი
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	3,933	2,266
დეპოზიტები	5	96	1,277
სადეპოზიტო სერთიფიკატი		1,269	-
მისაღები სადაზღვევო პრემიები, გროსი	6	4,783	9,284
გადაზღვევისაგან მისაღები თანხები		121	-
გადაზღვევის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		85	24
გადაზღვევის წილი გაცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვში		14	100
სხვა მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	7	1,868	1,279
მისაღები პროცენტები		8	75
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8	467	378
ძირითადი საშუალებები, წმინდა	9	10,375	10,524
არამატერიალური აქტივები, წმინდა	10	246	205
გადავადებული საგადასახადო აქტივი	11	-	-
გადავადებული აკვიზიციური ზარჯები		6	7
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		28	516
წინასწარ გადახდილი სამემოსავლო გადასახადი		311	-
წინასწარ გადახდილი სხვა გადასახადები		16	5
სულ აქტივები		23,626	25,941
ვალდებულებები და სადაზღვევო რეზერვები			
სადაზღვევო ვალდებულებები და რეზერვები			
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, გროსი	13	3,831	8,650
გაცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი, გროსი		6,882	7,772
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი, გროსი		178	299
ვალდებულება გადაზღვევის მიმართ		177	29
გამოუმუშავებელი საკომისიო შემოსავალი		20	8
გადასახდელი საკომისიო		1	6
სულ სადაზღვევო ვალდებულებები		11,090	16,764
სხვა ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი	14	1,200	-
გადასახდელი პროცენტები	14	1	-
არასადაზღვევო მოკლევადიანი ვალდებულებები	15	3,632	3,748
გადასახდელი გადასახადები		78	104
გადავადებული შემოსავალი (სახელმწიფო გრანტი)		250	311
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	11	111	97
სულ სხვა ვალდებულებები		5,273	4,261
სულ ვალდებულებები და სადაზღვევო რეზერვები		16,362	21,025
კაპიტალი			
შეესებული კაპიტალი	16	29,000	28,420
დაგროვილი მოგება		(21,736)	(23,504)
სულ კაპიტალი		7,264	4,916
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		23,626	25,941

მაკა სოლოლაშვილი
 გენერალური დირექტორი
 შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"
 თარიღი: 15 მაისი, 2015

რევაზ მაზარაძე
 ფინანსური დირექტორი
 შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"

შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"
 სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

	შენიშვნა	2014 წელი	2013 წელი
მოზიდული სადაზღვევო პრემია	17	7,803	14,215
გამომუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება (გროსი)		4,819	10,649
გამომუშავებელი პრემია, გროსი		12,622	24,864
გადამზღვევის კუთვნილი პრემია		(281)	(138)
გამომუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება (გადამზღვევის წილი)		62	24
გამომუშავებელი პრემია, გადაზღვევის წილი		(219)	(115)
წმინდა გამომუშავებელი პრემია		12,403	24,749
ანაზღაურებული ზარალები	18	(10,599)	(29,789)
ზარალების რეზერვის ცვლილება (გროსი)		1,010	6,745
სულ სადაზღვევო ზარალები, გროსი		(9,588)	(23,043)
გადამზღვევის წილი ანაზღაურებულ ზარალებში		121	42
ზარალების რეზერვის ცვლილება (გადამზღვევის წილი)		(87)	100
სულ გადამზღვევის წილი ზარალებში		35	142
წმინდა სადაზღვევო ზარალები		(9,554)	(22,901)
მიღებული სადაზღვევო საკომისიო		77	49
ცვლილება გადაუდებელ გადაზღვევის საკომისიოში		(12)	(8)
საკომისიო შემოსავალი/(ზარალი)		65	40
მოგება / (ზარალი) სადაზღვევო ოპერაციებიდან		2,915	1,888
შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან		7,367	4,804
რეგრესიდან შემოსავლები		74	17
შემოსავალი გადარჩენილი ქონებიდან		19	-
საპროცენტო შემოსავლები		299	396
სახელმწიფო გრანტის ამორტიზაცია		61	61
სხვა შემოსავლები		143	110
სულ სხვა შემოსავლები		7,963	5,389
აკვიზიციური ხარჯები, გროსი		(20)	(11)
ცვლილება გადაუდებელ აკვიზიციურ ხარჯში		(1)	7
სულ აკვიზიციური ხარჯები		(21)	(3)
შრომის ანაზღაურება და პრემიები		(6,083)	(5,053)
ცვეთა და ამორტიზაცია		(778)	(696)
საეჭვო და უიმედო ვალების ხარჯი		(61)	-
საპროცენტო ხარჯები		(7)	-
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19	(2,145)	(2,831)
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები		(9,075)	(8,580)
მოგება გადასახადებამდე		1,782	(1,306)
მოგების გადასახადი	11	(14)	(74)
წმინდა მოგება/(ზარალი)		1,768	(1,381)

მაკა სოლოლაშვილი
 გენერალური დირექტორი
 შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"
 თარიღი: 15 მაისი, 2015

რევაზ მახარაძე
 ფინანსური დირექტორი
 შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"

შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული უწყისი
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

	2014 წელი	2013 წელი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული სადაზღვევო პრემია	11,010	25,139
სამედიცინო მომსახურებისთვის მიღებული თანხები	7,911	3,447
სხვა მიღებული თანხები	82	54
მიღებული პროცენტი	309	575
გადახდილი ზარალები	(10,265)	(26,670)
გადახდილი ჯარიმა	-	-
გადახდილი ხელფასები და სხვა განაცემები	(6,023)	(4,475)
გადახდილი საკომისიო	(19)	(5)
გადახდილი საოპერაციო გადასახადები	(8)	(22)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(2,887)	(2,894)
გადამზღვეველისათვის გადახდილი თანხა	(132)	(19)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(22)	(4,869)
გადახდილი პროცენტი	(6)	-
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(28)	(4,869)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(920)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(63)	(63)
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	-	-
ინვესტიცია სადებოზიტო სერთიფიკატებში	(1,200)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,263)	(983)
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის აღება	1,200	-
სესხის დაფარვა	-	-
საწესდებო კაპიტალის შევსება	580	3,906
პარტნიორის მიერ კაპიტალის შემცირება თანხის გატანით	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	1,780	3,906
წმინდა ცვლილება ფულად სახსრებში და მათ ეკვივალენტებში	489	(1,946)
ფულადი სახსრები მათ ეკვივალენტები და დებოზიტები პერიოდის დასაწყისში	3,543	5,486
კურსთაშორი სხვაობიდან მოგება/(ზარალი) ფულსა და ფულად ეკვივალენტებზე	(3)	4
ფულადი სახსრები, მათი ეკვივალენტები და დებოზიტები პერიოდის ბოლოს	4,029	3,543

მაკა სოლოლაშვილი
 გენერალური დირექტორი
 შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"
 თარიღი: 15 მაისი, 2015

რევაზ მაზარაძე
 ფინანსური დირექტორი
 შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"

შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"
 კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული უწყისი
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სულ მფლობელთა კაპიტალი
31 დეკემბერი 2012	24,514	(22,123)	2,391
მფლობელთა კაპიტალის შევსება პერიოდის შედეგი	3,906 -	- (1,381)	3,906 (1,381)
31 დეკემბერი 2013	28,420	(23,504)	4,916
მფლობელთა კაპიტალის შევსება პერიოდის შედეგი	580 -	- 1,768	580 1,768
31 დეკემბერი 2014	29,000	(21,736)	7,264

მაკა სოლოლაშვილი
 გენერალური დირექტორი
 შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"
 თარიღი: 15 მაისი, 2015

რევაზ მახარაძე
 ფინანსური დირექტორი
 შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"

შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

1 ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სადაზღვევო კომპანია „ალფა“ დაარსდა 2009 წელს თბილისში. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ავერსი ფარმა“. კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №16. კომპანიაში 2014 წლის ბოლოსთვის მუშაობდა 116 ადამიანი. კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2009 წლის აგვისტოდან.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 წარდგენის საფუძვლები

თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"-ს („კომპანია“) და მისი 100%-იანი შვილობილი კომპანიის შპს „მედალფა“-ს (ერთობლივად „ჯგუფი“) ფინანსურ მონაცემებს 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ჯგუფი საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ამგვარი ჩანაწერებიდან და შესწორებულია საჭიროებისამებრ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევისათვის. ჯგუფის ფინანსური წლის დასასრული არის 31 დეკემბერი.

2.2 კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"-ს და მისი 100%-იანი შვილობილი კომპანიის შპს „მედალფა“-ს ფინანსური ანგარიშგების ანალოგიური მუხლები დაჯამებულია ერთმანეთთან და შემდეგ შვილობილში სათაო კომპანიის ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ელიმინირებულია შვილობილის კაპიტალში სათაო საწარმოს წილის საპირისპიროდ. ნებისმიერი შიდაჯგუფური ბალანსი და ოპერაცია სრულად არის ელიმინირებული. შვილობილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება იმავე მეთოდებით და იმავე პერიოდისთვისაა მომზადებული, როგორც სათაო კომპანიისა.

2.3 საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი თანხები წარდგენილია ქართულ ლარებში, ათასებში. ლარი წარმოადგენს ჯგუფის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას.

2.4 სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ჯგუფის მენეჯმენტისაგან მოითხოვს სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ აქტივებსა და ვალდებულებებზე და დამატებით შენიშვნებში გახსნილი პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, აგრეთვე, პერიოდის შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე.

შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4 სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

სფეროები, სადაც ყველაზე მეტად მოითხოვება სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება, მოიცავს სადაზღვევო რეზერვებს, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრას, საეჭვო ვალების რეზერვების შეფასებას და გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულების შეფასებას. გამოყენებული შეფასებები ეფუძნება მენეჯმენტის ცოდნასა და შეხედულებებს მიმდინარე მდგომარეობასა და მოვლენებზე, თუცა, ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისაგან.

2.5 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები და ბალანსები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაყვანილია ადგილობრივ ვალუტაში ოპერაციის მომენტისათვის არსებული კურსით. მსგავს ოპერაციებზე გაცვლითი კურსების სხვაობის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი და წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება/ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ძირითადი ვალუტების კურსები საანგარიშგებო ვალუტასთან იყო შემდეგი:

1 აშშ დოლარი = 1.8636 ლარი (2013: 1.7363)

1 ევრო = 2.2656 ლარი (2013: 2.3891)

2.6 სადაზღვევო კონტრაქტები

სადაზღვევო კონტრაქტები არის ისეთი კონტრაქტები, რომელთა მიხედვით კომპანია (მზღვეველი) იღებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს სხვა მხარისაგან (დაზღვეულისაგან) იმით, რომ თანხმდება მისცეს ანაზღაურება დაზღვეულს, თუკი მოხდება გარკვეული მოვლენა (სადაზღვევო შემთხვევა), რომლის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია და რომელიც უარყოფითად იმოქმედებს პოლისის მფლობელზე.

როდესაც კონტრაქტი კლასიფიცირდება სადაზღვევო კონტრაქტად, იგი ასეთი კლასიფიკაციით რჩება მისი ვადის ამოწურვამდე, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ამ პერიოდში სადაზღვევო რისკი მნიშვნელოვნად მცირდება.

2.7 გადაზღვევა

საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში ჯგუფი ახდენს სადაზღვევო რისკის გადაზღვევას. გადამზღვევებისაგან მისაღები თანხები აღიარდება აქტივად ბალანსში, ხოლო გადამზღვევებისათვის გადასახდელი თანხები ვალდებულებებად. მისაღები და გადასახდელი თანხები განისაზღვრება გადაზღვევის კონტრაქტების პირობების შესაბამისად. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება გადამზღვევებისაგან მისაღები თანხების შესაძლო გაუფასურების ტესტირება და თუკი არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ჯგუფმა შესაძლოა ვერ მიიღოს გადამზღვევებისაგან კუთვნილი თანხები, და ამ თანხის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სადაზღვევო რისკების გადაზღვევის კონტრაქტები არ ათავისუფლებს ჯგუფს მისი ვალდებულებებისაგან დაზღვეულებისადმი.

შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები, დეპოზიტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე. საბანკო დეპოზიტებზე განთავსებული ფულადი სახსრები ბალანსში ცალკე მუხლადაა წარდგენილი და მოიცავს ბანკებში ნებისმიერ სადებოზიტო ანგარიშებზე არსებულ თანხებს.

2.9 მისაღები სადაზღვევო პრემია

მისაღები სადაზღვევო პრემიის აღიარება ხდება პოლისის გამოწერის მომენტში სადაზღვევო კონტრაქტის მიხედვით მთელი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მისაღები მთლიანი თანხით. ჯგუფი ქმნის საეჭვო ვალების რეზერვს მისაღები სადაზღვევო პრემიის იმ თანხებისათვის, რომელთა ამოღება ბალანსის შედგენის თარიღისათვის საეჭვო ჩანს. ისეთი მისაღები სადაზღვევო პრემიის თანხები კი, რომელთა ამოღება შეუძლებელად არის მიჩნეული, ჩამოიწერება უიმედო ვალებში. უიმედოდ აღიარებული ვალის შემდგომ პერიოდში დაბრუნების შემთხვევაში, შესაბამისი თანხა აღიარდება მოგება-ზარალში, როგორც უიმედო ვალების აღდგენიდან მიღებული შემოსავალი.

2.10 სხვა მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

სხვა მოთხოვნები და გადახდილი ავანსები მოიცავს არასადაზღვევო მომსახურებების გაწევიდან, ძირითადად შვილობილი კომპანიის მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან წარმოშობილ სავაჭრო მოთხოვნებს, მომწოდებლებისათვის გადახდილ ავანსებს და სხვა მოთხოვნებს.

სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გაწეული მომსახურების ან მიწოდებული პროდუქციის საინვოისო ღირებულებით, ხოლო გადახდილი ავანსები აღიარდება გადახდილი ფულადი სახსრების ოდენობით.

სხვა მოთხოვნები და გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მათ აღდგენით ღირებულებამდე, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ჯგუფი კლიენტისაგან ვერ მიიღებს თავდაპირველად წარმოშობილი მოთხოვნის თანხას სრულად.

აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება საეჭვო ვალების რეზერვის გამოყენებით და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სხვა საერთო ხარჯების მუხლში. როცა მოთხოვნა უიმედოა იგი საეჭვო ვალების რეზერვის ანგარიშის საპირისპიროდ ჩამოიწერება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ჩაირთვება შემოსავლებში იმ პერიოდში, როცა მოხდება მოთხოვნის აღდგენა.

2.11 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო – მატერიალური ფასეულობები არის აქტივები, რომლებიც:

- ა) საქმიანობის ნორმალურ პირობებში გასაყიდადაა განკუთვნილი;
- ბ) იმყოფებიან წარმოების პროცესში;
- გ) ან წარმოადგენენ წარმოების პროცესში გამოსაყენებელ ნედლეულსა და მასალას.

2 შენიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.11 სასაქონლო მატერიალური მარაგები (გაგრძელება)

ჯგუფის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ძირითადად შედგება შვილობილი კომპანიის სამედიცინო საქმიანობისთვის აუცილებელი მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალებისაგან.

მარაგები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში ბალანსში წარედგინება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული შეფასებითი გასაყიდი ფასი. მარაგების თვითღირებულება მოიცავს შეძენის, და სადაც შესაფერისია გადაშუშავების დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობამდე მოსაყვანად. შეძენის დანახარჯები მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო და სხვა არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მარაგების შესყიდვასთან. სავაჭრო ფასდაკლებები და სხვა მსგავსი შეღავათები შესყიდვის ღირებულებაში არ შეიყვანება.

2.12 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს.

შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება შესაძლებელია. აქტივების მიმდინარე რემონტის (შეკეთებისა) და შენახვის დანახარჯები აისახება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით. ცვეთის საპროცენტო განაკვეთები აქტივების ჯგუფების მიხედვით არის შემდეგი:

აქტივების ჯგუფი	წლიური ცვეთის განაკვეთი
შენიშვნები	2%
კომპიუტერული ტექნიკა	20%
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სამედიცინო მოწყობილობები და ინვენტარი	10-20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის რეალურ ღირებულებაზე, ის დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის რეალურ ღირებულებამდე. ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება გასვლის შედეგად მიღებული შემოსავლის (თუ გაიყიდა) საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და ჩაირთვება საოპერაციო მოგებაში.

შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.13 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

2.14 არამატერიალური აქტივები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებას მინუს აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. არამატერიალურ აქტივების ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით და ერიცხებათ წლიური 15% ცვეთა.

2.15 გადავადებული აკვიზიციური ხარჯები

აკვიზიციურ ხარჯებად კომპანია განიხილავს სადაზღვევო აგენტებისათვის გადახდილ/გადასახდელ საკომისიო ხარჯებს. შემდგომში, გადავადებული აკვიზიციური ხარჯების მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯად აღიარება ხდება იმ პოლისების პრემიის გამომუშავების პროპორციულად, რომელთა მოზიდვისათვისაც იქნა გაწეული აკვიზიციური ხარჯები.

2.16 გაუფასურება

აქტივებს, რომელთაც აქვთ განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა, არ ერიცხებათ ამორტიზაცია და ყოველწლიურად ხდება მათი ღირებულების განხილვა შესაძლო გაუფასურების ზარალის დასადგენად. ცვეთადი აქტივების შესაძლო გაუფასურების განხილვა ხდება ისეთ შემთხვევაში, თუკი არსებობს რაიმე მაჩვენებელი იმისა, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება შესაძლოა აღემატებოდეს მის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის აღდგენით ღირებულებას.

აღდგენითი ღირებულება არის გამოყენების ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენითი ღირებულება სავარაუდოდ მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი გადაფასებული ღირებულებით იყო ასახული, რა შემთხვევაშიც გაუფასურება განიხილება, როგორც გადაფასების რეზერვის შემცირება.

თუკი გაუფასურების ზარალი მომავალში აღდგება, მაშინ აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გაიზრდება აღდგენითი ღირებულების ახალ სავარაუდო მნიშვნელობამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც აქტივს ექნებოდა, რომ არ ყოფილიყო წინა წლებში მისი ღირებულება შემცირებული გაუფასურების შედეგად. გაუფასურების ზარალის აღდგენა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი გადაფასებული ღირებულებით იყო ასახული, რა შემთხვევაშიც გაუფასურება განიხილება, როგორც გადაფასების გაზრდა.

2.17 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ასახულია მათი თვითღირებულებით.

შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

2 შენიშვნალოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.18 სადაზღვევო რეზერვები

კომპანიას მოქმედი კანონმდებლობით მოეთხოვება სადაზღვევო რეზერვების შექმნა. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებს შემდეგი სახის სადაზღვევო რეზერვებს: (ა) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, (ბ) განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი და (გ) მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი.

(ა) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დაითვლება იმ სადაზღვევო პოლისებისათვის, რომელთა მიხედვით სადაზღვევო პერიოდი სცილდება საანგარიშგებო პერიოდს. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი დაითვლება პოლისის საანგარიშგებო პერიოდში მოხვედრილი და საანგარიშგებო პერიოდს გარეთ დარჩენილი ვადების პროპორციულად და წარდგენილია ბალანსის ვალდებულებების ნაწილში. უცხოურ ვალუტაში გამოწერილი პოლისებისათვის გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი იანგარიშება პოლისის გამოწერის დღეს არსებული სავალუტო კურსის მიხედვით;

(ბ) განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი იქმნება იმ ზარალებისათვის, რომელთა მიხედვით დაზღვეულთა სარჩელები კომპანიაში უკვე წარდგენილია, თუმცა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის წარმოდგენილი სარჩელების დაკმაყოფილებაზე, ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმაზე, გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული, ან გადაწყვეტილება მიღებულია, მაგრამ თანხა ჯერ არ არის ანაზრაურებული;

(გ) მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი იქმნება იმ შესაძლო ზარალებისათვის, რომელთა შესახებ დაზღვეულთა სარჩელები საანგარიშგებო თარიღისათვის შესაძლოა ჯერ არ იყოს წარმოდგენილი. აღნიშნული რეზერვის თანხა კომპანიის პოლიტიკის მიხედვით განისაზღვრება არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და ჯანმრთელობის დაზღვევის ხაზისათვის განისაზღვრება ნეტო მოზიდული სადაზღვევო პრემიის (მთლიან მოზიდულ პრემიას გამოკლებული გადამზღვევლის წილი პრემია) 2% ოდენობით, ხოლო სხვა სახეობებისათვის იგივეს 5%-ის ოდენობით.

2.19 სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტი არის სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება ჯგუფისათვის რესურსების გადმოცემის სახით ჯგუფის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ. აქ არ იგულისხმება ისეთი ტიპის სახელმწიფო დახმარებები, რომელთა ღირებულების დასაბუთებელი განსაზღვრა შეუძლებელია, აგრეთვე სახელმწიფოსთან დადებული ისეთი გარიგებები, რომლებიც არ განსხვავდება ჯგუფის ჩვეულებრივი კომერციული გარიგებებისგან.

სახელმწიფო გრანტები არის შემოსავლებთან დაკავშირებული, ან აქტივებთან დაკავშირებული.

აქტივებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები არის ისეთი სახელმწიფო გრანტები, რომლებიც ჯგუფს ეძლევა იმისათვის, რომ შეიძინოს, ააშენოს ან რაიმე სხვა გზით მიიღოს გრძელვადიანი აქტივები. ასეთი გრანტი შესაძლოა ითვალისწინებდეს დამატებით პირობებსაც, რომლებიც განსაზღვრავს აქტივის სახეობას, განლაგებას, მათი შექმნის ან ფლობის პერიოდს.

შემოსავლებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები არის ყველა სხვა სახის სახელმწიფო გრანტი.

შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.19 სახელმწიფო გრანტები (გაგრძელება)

არაფულადი სახელმწიფო გრანტი არის სახელმწიფო გრანტი რომელსაც ჯგუფი იღებს არაფულადი სახით, მაგალითად, სახელმწიფოს მიერ ჯგუფისათვის მიწის, შენობა-ნაგებობის ან სხვა აქტივების გადმოცემის გზით. არაფულადი გრანტი შეიძლება იყოს როგორც აქტივებთან დაკავშირებული, ასევე შემოსავლებთან დაკავშირებული, თუმცა უფრო მოსალოდნელია რომ არაფულადი გრანტი იქნება აქტივებთან დაკავშირებული.

სახელმწიფო გრანტები, მათ შორის არაფულადი გრანტები, აღიარდება მხოლოდ მაშინ როდესაც არსებობს დასაბუთებული რწმუნება, რომ:

ა) კომპანია შეასრულებს გრანტთან დაკავშირებულ პირობებს; და

ბ) გრანტი ნამდვილად იქნება მიღებული.

სახელმწიფო გრანტი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სისტემატურ საფუძველზე იმ პერიოდებში, რომლებშიც ხდება იმ დანახარჯების აღიარება, რომელთა კომპენსირებაც ხდება ამ გრანტით.

სახელმწიფო გრანტები თავდაპირველად აღიარდება ბალანსში გადავადებული შემოსავლის სახით და შემდგომში პერიოდის მოგება-ზარალში შემოსავლად აღიარდება სისტემატურ საფუძველზე შესაბამისი ხარჯების გაწევის ან შესაბამისი აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში პროპორციულად. მოგება-ზარალში სახელმწიფო გრანტების აღიარებული წილი წარდგენილია ცალკე ხაზზე, სათაურით „სახელმწიფო გრანტის ამორტიზაცია“.

2.20 მოგების გადასახადი

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი ანგარიშგებაში წარდგენილი წლებისათვის შეადგენს 15%-ს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ზარალები გადავადდება 5 წლის ვადით. მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მონაცემებზე დაყრდნობით.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანად არის აღიარებული საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით, აქტივების საგადასახადო დასაბეგრ ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებებზე გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთებით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.21 სესხები და სესხთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება მიღებული თანხების რეალური ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ ყველა პროცენტური სესხი ასახულია ამორტიზებული ღირებულებით. ამორტიზებული ღირებულების დათვლისას გათვალისწინება ყველა ფასდაკლება ან დაფარვაზე პრემია. ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი შემოსავალი, თუ ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში ამორტიზაციის პროცესში.

სესხებთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შექმნასთან, აშენებასთან ან შექმნასთან კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის ღირებულებაში.

განსაკუთრებული აქტივი არის ისეთი აქტივი რომლის გამოყენებისთვის ან გაყიდვისათვის მომზადება (აშენება, წარმოება) აუცილებლად დიდ დროს მოითხოვს. განსაკუთრებული აქტივი შეიძლება იყოს მაგალითად შენობა. აქტივები, რომლებიც შექმნის მომენტში უკვე მზად არის გამოსაყენებლად არ ჩაითვლება განსაკუთრებულ აქტივებად.

2.22 კაპიტალი

ჯგუფის განცხადებული კაპიტალი განისაზღვრება პარტნიორთა მიერ. კომპანიის განცხადებული კაპიტალი საბუღალტრო ჩანაწერებში აღიარდება პარტნიორთა მიერ კაპიტალის გაზრდაზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე "განცხადებული კაპიტალის" მუხლის დაკრედიტებით და ამავე მომენტში "კაპიტალის შევსებაზე პარტიორებისაგან მოთხოვნის" მუხლის, რომელიც ასევე ბალანსის კაპიტალის სექციაშია, დადებულბით. შემდგომში, პარტიორის მიერ თანხის, ან სხვა აქტივის შემოტანისას, ხდება ბანკის (ან შესაბამისი სხვა აქტივის) ანგარიშის დადებულება და "კაპიტალის შევსებაზე პარტიორებისაგან მოთხოვნის" მუხლის დაკრედიტება. შედეგად ბალანსში წარედგინება შევსებული და არა განცხადებული კაპიტალის თანხა.

2.23 შემოსავლების აღიარება

შემოსავლები აღიარდება როდესაც შესაძლებელია შემოსავლის თანხის საიმედო შეფასება, მოსალოდნელია, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციის შედეგად მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, შესაძლებელია ტრანზაქციის დასრულების ხარისხის საიმედო შეფასება და ოპერაციის განხორციელებისათვის გაწეული ხარჯებისა და მისი დასრულებისათვის მომავალში საჭირო ხარჯების საკმარისად საიმედოდ შეფასება.

მოგება-ზარალში სადაზღვევო პოლისებიდან მიღებული შემოსავალი აისახება გამომუშავებული პრემიის სახით, რომელიც დაითვლება პოლისის მთლიანი თანხის პოლისის მოქმედების პერიოდზე პრო-რატა მეთოდით გადანაწილების საფუძველზე.

სამედიცინო მომსახურებიდან მისაღები შემოსავლები აღიარდება, როდესაც გაწეულია შესაბამისი მომსახურება და ჯგუფს წარმოექმნება შესაბამისი მხარისაგან მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

საინვესტიციო შემოსავლები შედგება საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხული საპროცენტო სარგებლისაგან. საინვესტიციო შემოსავლები აღიარდება პროცენტების გამომუშავების მომენტში.

შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

სააღრიცხვო შეფასებები კეთდება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით მენეჯმენტის იმ მოლოდინების გათვალისწინებით, რომლებიც დასაბუთებული ჩანს არსებულ პირობებში.

3.1 ვალდებულებები სადაზღვევო კონტრაქტების მიხედვით

სადაზღვევო კონტრაქტებისათვის კომპანიის მენეჯმენტს უწევს შეფასებების გაკეთება, რაც დაკავშირებულია მიღებული, მაგრამ ჯერ დაურეგულირებელი სარჩელების მოსალოდნელ ღირებულებასთან და აგრეთვე მომხდარი, მაგრამ ჯერ განუცხადებელი ზარალების მოსალოდნელ ღირებულებასთან. ასეთი ზარალების საბოლოო ღირებულების საიმედოდ დადგენას შესაძლოა საკმაოდ დიდი დრო დასჭირდეს, რაც დაკავშირებულია ზარალის ოდენობაზე შესაძლო უთანხმოებებთან დაზღვეულთან, შემდგომ შესაძლო მასშტაბით და ვადასთან და სხვა მსგავს საკითხებთან.

ფინანსურ ანგარიშგებაში მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების თანხების განსაზღვრა ხდება საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად, რისთვისაც შესაბამისი რეზერვები იქმნება, როგორც ეს აღწერილია 2.18 შენიშვნაში.

3.2 საეჭვო და უიმედო ვალების შეფასება

მენეჯმენტი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს არსებული სადაზღვევო და სხვა მოთხოვნების ამოღების შესაძლებლობას და საკუთარი წინა გამოცდილების, მომავალი მოვლენების განვითარების საკუთარი მოლოდინების და სხვა ხელმისაწვდომი და შესაფერისი ფაქტორების გათვალისწინებით აფასებს რამდენად რეალურია არსებული დებიტორებისგან თანხების სრულად მიღება. სადაც მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ თანხები ვერ იქნება მიღებული, მენეჯმენტი ქმნის საეჭვო ვალების რეზერვს, ან სრულად ჩამოწერს მოთხოვნებს. ეს შეფასებები შესაძლოა არ იყოს ბოლომდე ზუსტი და მომავალში შესაძლოა კიდევ მეტი თანხების ამოღება ვერ მოხერხდეს, ან პირიქით, უიმედოდ აღიარებულმა დებიტორებმა დაფარონ თავიანთი ვალდებულება.

3.3 საწარმოს უწყვეტობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფი გააგრძელებს ფუნქციონირებას, როგორც უწყვეტი საწარმო, ანუ ახლო მომავალში, მინიმუმ 12 თვის მანძილზე ბალანსის თარიღიდან, არ მოხდება ჯგუფის საქმიანობის შეწყვეტა ან მასშტაბების მნიშვნელოვანი შეზღუდვა

2014 წელი არის 2009 წლის შემდეგ პირველი, რომელიც ჯგუფმა მოგებით დაასრულა. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფს ფუნქციონირება არ შეუწყვეტია წინა პერიოდებში, როდესაც მნიშვნელოვანი ზარალები ჰქონდა, მიმდინარე წლის მოგებით დასრულება მენეჯმენტს აძლევს კიდევ უფრო მეტ საფუძველს მიიჩნიოს, რომ ჯგუფი მომავალში უწყვეტად გააგრძელებს ფუნქციონირებას.

შპს სადაზღვევო კომპანია "ალფა"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

4 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2014 წელი	31 დეკემბერი, 2013 წელი
ნაღდი ფული სალაროში	7	6
ფული ბანკში	3,859	2,260
შეზღუდული ფული	67	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	3,933	2,266

შეზღუდული ფული წარმოადგენს კომპანიის მიერ სხვადასხვა ტენდერებში მონაწილეობისას სატენდერო უზრუნველყოფის სახით შესაბამის საბანკო ანგარიშზე განთავსებულ თანხებს, რომელთა გამოყენება ტენდერის დასრულებამდე კომპანიას არ შეუძლია.

5 დეპოზიტები

	31 დეკემბერი, 2014 წელი	31 დეკემბერი, 2013 წელი
მოკლევადიანი	96	1,277
გრძელვადიანი	-	-
სულ დეპოზიტები	96	1,277

შპს "სადაზღვევო კომპანია ალფა", როგორც სადაზღვევო სექტორის კომპანია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ექვემდებარება გარკვეულ რეგულაციებს. ეს რეგულაციები მოიცავს მოთხოვნებს გარკვეული ოდენობის ფულადი სახსრების არსებობაზე საბანკო ანგარიშებზე და/ან დეპოზიტებზე. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის კომპანიის ფულადი სახსრების ოდენობა და განთავსება აკმაყოფილებს რეგულაციის არსებულ მოთხოვნებს.

6 მისაღები სადაზღვევო პრემიები, ბროსი

	31 დეკემბერი, 2014 წელი	31 დეკემბერი, 2013 წელი
სახელმწიფო სექტორი	1,433	7,110
კერძო სექტორი	3,401	2,174
მისაღები სადაზღვევო პრემიის გაუფასურების რეზერვი	(50)	-
სულ	4,783	9,284

წინა პერიოდებში ჯგუფის მისაღები სადაზღვევო პრემიების დიდი ნაწილი სახელმწიფო სექტორიდან მისაღები თანხები იყო. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ჯგუფის სადაზღვევო შემოსავლების დიდი ნაწილი სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობიდან მიღებული შემოსავლები იყო. მიმდინარე პერიოდში უკვე დასრულდა სახელმწიფო პროგრამები, რომლებშიც ჯგუფი მონაწილეობდა და ამ საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის შემოსავლები და მისაღები თანხები აღარ არის კონცენტრირებული სახელმწიფო სექტორზე, რაც მენეჯმენტის მოსაზრებით კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებას უწყობს ხელს.

შპს სადაზღვევო კომპანია "ალფა"
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

7 სხვა მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	31 დეკემბერი, 2014 წელი	31 დეკემბერი, 2013 წელი
მოთხოვნები სამედიცინო მომსახურების გაწევიდან	1,599	1,098
გადახდილი ავანსები	5	12
მისაღები საკომისიო	77	(0)
მოთხოვნები პერსონალისაგან	(0)	0
მოთხოვნები რეგრესიდან და ფრანშიზადან	57	0
სხვა მოთხოვნები	141	168
სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(11)	-
სულ სხვა მოთხოვნები და ავანსები	1,868	1,279

8 სასაქონლო მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი, 2014 წელი	31 დეკემბერი, 2013 წელი
მედიკამენტები	284	209
საწვავი	0	0
სამეურნეო მარაგები	62	-
სხვა მარაგი	120	169
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	467	378

9 პირითადი საშუალებები

2014 წელი	ოფისის		სამედიცინო		სატრანსპორტო საშუალებები	სულ
	მიწა და შენობები	კომპიუტერულ ი ტექნიკა	ალკურეილოზა, ავივი და სხვა ინვენტარი	მოწყობილობებ ი და ინვენტარი		
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 31/12/2013	8,157	502	980	1,833	454	11,927
დამატებები	269	6	91	1,138	11	1,515
გასვლები / რეკლასი	-	(26)	(49)	(859)	-	(935)
ნაშთი 31/12/2014	8,426	482	1,022	2,112	465	12,507
აკუმულირებული ცვლილება						
ნაშთი 31/12/2013	321	273	353	428	29	1,403
პერიოდის ცვლილება	162	114	186	277	13	752
გასული აქტივების აკუმულირებული ცვლილება	-	(17)	(6)	(0)	-	(22)
ნაშთი 31/12/2014	483	370	533	705	42	2,132
ნარჩენი ღირებულება						
ნაშთი 31/12/2013	7,837	230	628	1,405	425	10,524
ნაშთი 31/12/2014	7,943	112	490	1,407	423	10,375

შპს სადაზღვევო კომპანია “ალფა”
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

9 ძირითადი საშუალებები (გაბრკელება)

2013 წელი	მიწა და შენობები	კომპიუტერულ ი ტექნიკა	ოფისის	სამედიცინო	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
			აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	მოწყობილობებ ი და ინვენტარი		
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 31/12/2012	7,600	497	909	1,757	83	10,845
დამატებები	558	8	72	76	389	1,102
გასვლები / რეკლასი	-	(3)	(0)	-	(18)	(21)
ნაშთი 31/12/2013	8,157	502	980	1,833	454	11,927
აკუმულირებული ცვმთა						
ნაშთი 31/12/2012	166	167	180	199	18	731
პერიოდის ცვთა	155	106	172	229	14	676
გასული აქტივების აკუმულირებული ცვთა	-	(1)	(0)	-	(3)	(4)
ნაშთი 31/12/2013	321	273	353	428	29	1,403
ნარჩენი ღირებულება						
ნაშთი 31/12/2012	7,434	330	728	1,558	66	10,115
ნაშთი 31/12/2013	7,837	230	628	1,405	425	10,524

ჯგუფის არც ერთი ძირითადი საშუალება არ არის დატვირთული იპოთეკით ან გირავნობით. თუმცა, ჯგუფის საკუთრებაში არსებული ქონების ნაწილზე არსებობს გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებები. ეს ვალდებულებები შეეხება ჯგუფის მიერ შეძენილ მიწაზე აშენებულ საავადმყოფოს და სახელმწიფოს მიერ სიმბოლურ ფასად გადმოცემულ აქტივებს. სახელმწიფოსთან კონტრაქტის მიხედვით ჯგუფი ვალდებულია გადმოცემული ქონებების ბაზაზე შექმნილ სამედიცინო დაწესებულებებს შეუნარჩუნოს პროფილი და გააგრძელოს სამედიცინო მომსახურებების გაწევა მინიმუმ 2018 წლის ნოემბრამდე.

10 არამატერიალური აქტივები

2014 წელი	კომპიუტერული პროგრამები
ისტორიული ღირებულება	
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისათვის	276
დამატებები	66
გასვლები	-
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისათვის	342
აკუმულირებული ამორტიზაცია	
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისათვის	71
პერიოდის ცვთა	25
გასული აქტივების აკუმულირებული	-
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისათვის	96
ნარჩენი ღირებულება	
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისათვის	205
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისათვის	246

შპს სადაზღვევო კომპანია “ალფა”
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

10 არამატერიალური აქტივები (გაბრკელება)

2013 წელი	კომპიუტერული პროგრამები
ისტორიული ღირებულება	
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისათვის	218
დამატებები	71
გასვლები	(12)
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისათვის	276
აკუმულირებული ამორტიზაცია	
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისათვის	50
პერიოდის ცვეთა	25
გასული აქტივების აკუმულირებული	(4)
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისათვის	71
ნარჩენი ღირებულება	
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრისათვის	167
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისათვის	205

11 გადავადებული მოგების გადასახადი

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები გამოითვლება ფინანსურ და საგადასახადო აღრიცხვას შორის დროებით სხვაობებთან მიმართებაში საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. დროებითი სხვაობების ეფექტი, რომელთა გამოც წარმოიქმნება გადავადებული საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება, წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

გადავადებული გადასახადის კომპონენტები	31 დეკემბერი, 2014 წელი	31 დეკემბერი, 2013 წელი
ძირითადი საშუალებები, წმინდა	(197)	(184)
გადავადებული შემოსავალი	38	47
გადასახდელი ხელფასები	48	40
აკუმულირებული საგადასახადო ზარალები	-	-
სულ გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	(111)	(97)

პერიოდის განმავლობაში გადავადებული გადასახადის ბალანსში მომხდარი ცვლილებები შემდეგია:

ცვლილებები საანგარიშგებო პერიოდში	2014 წელი	2013 წელი
საწყისი ბალანსი	(97)	(23)
ცვლილება	(14)	(74)
საბოლოო ბალანსი	(111)	(97)

პერიოდის განმავლობაში გადავადებული გადასახადის პოზიციაში ცვლილება ჩართულია მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, რაც გავლენას ახდენს მოგების გადასახადის ზარჯის ოდენობაზე:

მოგების გადასახადის ზარჯი	2014 წელი	2013 წელი
მიმდინარე მოგების გადასახადის ზარჯი	-	-
გადავადებული გადასახადის ცვლილება: შემოსავალი / (ზარჯი)	(14)	(74)
მოგების გადასახადის სარგებელი / (ზარჯი)	(14)	(74)
	<i>გვერდი</i>	20

შპს სადაზღვევო კომპანია "ალფა"
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის ახსნა-განმარტებითი შინიშვნა
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

12 ფინანსური პერიოდის ცვლილებები

ამ ფინანსური პერიოდის მომზადების პროცესში მენეჯმენტმა შენიშნა შეცდომა წინა პერიოდის გადავადებული გადასახადის განგარიშებაში, რაც შესაბამისად შესწორდა რეტროსპექტიულად. ცვლილების თანხები წარმოდგენილია ქვემოთ:

მუხლი	ადრე წარდგენილი		სხვაობა
	ი	შესწორებული	
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება კაპიტალი	70 (70)	97 (97)	28 (28)
ცვლილება გადავადებულ გადასახადში	47	74	28

13 გამორეზერვაციული პრემიის რეზერვი, ბროსი

	31 დეკემბერი, 2014 წელი	31 დეკემბერი, 2013 წელი
სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა	3,303	8,332
სამოგზაურო დაზღვევა	33	2
დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან	74	25
სიცოცხლის დაზღვევა	153	122
ავტოდაზღვევა – უბედური	2	1
ავტოკასკო	83	37
ავტოდაზღვევა – MTPL	15	6
საჰაერო კასკო	-	1
საჰაერო პასუხისმგებლობა	-	0
ტვირთების დაზღვევა	3	2
ქონების დაზღვევა	163	88
პროფესიული პასუხისმგებლობა	-	10
დამქირავებლის პასუხისმგებლობა	-	1
სხვა სახის პასუხისმგებლობა	3	23
სულ გამორეზერვაციული პრემიის რეზერვი, ბროსი	3,831	8,650

14 მოკლევადიანი სესხები

ჯგუფს აქვს მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება 1,200 ათასი ლარის ოდენობით და 1.3 ათასი ლარი ამ სესხზე გადასახდელი პროცენტი შპს „ავერსის კლინიკისადმი“. სესხის ვადა არის 2015 წლის ივლისამდე და საპროცენტო განაკვეთია 20% წლიური. სესხი უზრუნველყოფილია ჯგუფის სადეპოზიტო სერტიფიკატით ამავე თანხაზე.

შპს სადაზღვევო კომპანია "აღფა"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

15 არასადაზღვევო მოკლევადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2014 წელი	31 დეკემბერი, 2013 წელი
გადასახდელი ხელფასები	474	365
ვალდებულებები პროვაიდერების მიმწოდებლებისადმი	2,628	2,433
სხვა არასადაზღვევო ვალდებულებები	530	950
სულ არასადაზღვევო მოკლევადიანი ვალდებულებები	3,632	3,748

"ვალდებულებები პროვაიდერების მიმწოდებლებისადმი" წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშობა კომპანიას, პროვაიდერსა და მის მიმწოდებელს შორის სამხრევი შეთანხმებების შედეგად, სადაც კომპანიის ვალდებულება პროვაიდერისადმი იცვლება კომპანიის ვალდებულებით პროვაიდერის მიმწოდებლისადმი. კომპანია საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში დროდადრო დება ისეთ სამხრევი შეთანხმებებს სამედიცინო მომსახურების პროვაიდერებთან და ამ პროვაიდერების მიმწოდებლებთან, რომელთა შედეგად ხდებოდა კომპანიის კრედიტორის ჩანაცვლება და პროვაიდერის მაგივრად კომპანიის კრედიტორი ხდებოდა პროვაიდერის მიმწოდებელი. ასეთი შეთანხმებები ფორმდებოდა მხოლოდ კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან, ანუ შეთანხმების შედეგად კომპანიას უმცირდებოდა ვალდებულება არადაკავშირებულ მხარე პროვაიდერთან და უზრუნველყოდა ვალდებულება დაკავშირებულ მხარესთან, რომელიც თავის მხრივ არის შესაბამისი პროვაიდერის მიმწოდებელი. ასეთი შეთანხმებების ძირითადი მიზანი იყო ვალდებულებების უფრო ეფექტური მართვა, რადგან მენეჯმენტი თვლის, რომ ვალდებულება დაკავშირებული მხარისადმი უფრო ნაკლებად რისკიანია და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ვალდებულების დაფარვის ვადებზე და სხვა საკითხებზე უფრო ეფექტური მოლაპარაკებები ასეთ კრედიტორთან.

16 კაპიტალი

საქართველოს საზღვევო კანონმდებლობის მიხედვით იმ სადაზღვევო კომპანიის, რომელიც ახორციელებს სიცოცხლის დაზღვევას, შეესაბამება კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა იყოს 1,500 ათასი ლარი. ამავე დროს მინიმალური კაპიტალის 80%-ს უნდა ფლობდეს ფულადი ფორმით განთავსებულს საბანკო

ჯგუფის კონსოლიდირებული კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არის 7,264 ათასი ლარი.

შპს სადაზღვევო კომპანია აღფას კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არის 4,746 ათასი ლარი, ხოლო უზრუნველყოფისათვის დასაშვები ფულადი სახსრების ნაშთი ჯამურად არის 2,829 ათასი ლარი (ფული სალაროში, ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე და დეპოზიტებზე). შესაბამისად კომპანია წინა აბზაცში აღნიშნულ მოთხოვნას მინიმალურ კაპიტალთან დაკავშირებით აკმაყოფილებს.

შპს სადაზღვევო კომპანია “ალფა”
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

17 მოზიდული სადაზღვევო პრემია	2014 წელი	2013 წელი
სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა	6,596	13,527
სამოგზაურო დაზღვევა	102	15
დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან	153	87
ავტოდაზღვევა – უბედური	7	6
ავტოკასკო	338	241
ავტოდაზღვევა – MTPL	47	19
საჰაერო კასკო	-	1
საჰაერო პასუხისმგებლობა	-	1
ტვირთების დაზღვევა	39	20
ქონების დაზღვევა	231	108
პროფესიული პასუხისმგებლობა	-	11
დამქირავებლის პასუხისმგებლობა	-	1
სხვა სახის პასუხისმგებლობა	4	29
სულ მოზიდული სადაზღვევო პრემია არასინცოცხლე	7,517	14,066
სიცოცხლის დაზღვევა	286	221

მილიანად მოზიდული სადაზღვევო პრემია **7,803** **14,286**

მოზიდული პრემიის დაყოფა სახელმწიფო და კერძო სექტორების მიხედვით:

	2014 წელი	2013 წელი
სახელმწიფო სექტორი	4,123	11,271
კერძო სექტორი	3,680	2,944

სულ მოზიდული სადაზღვევო პრემია **7,803** **14,215**

როგორც ზედა ცხრილიდან ჩანს ჯგუფის სადაზღვევო შემოსავლების დაახლოებით ნახევარი მიმდინარე წელსაც სახელმწიფო სექტორიდან მიღებული სადაზღვევო პრემია იყო, თუმცა 2014 წელს დასრულდა სახელმწიფო პროგრამები და ჯგუფის შემოსავლები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ აღარ არის ასე კონცენტრირებული სახელმწიფო სექტორზე.

18 ანაზღაურებული ზარალები	2014 წელი	2013 წელი
სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა	10,236	29,621
სამოგზაურო დაზღვევა	0	-
დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან	-	2
ავტოკასკო	232	107
ავტოდაზღვევა – MTPL	14	5
ქონების დაზღვევა	70	-
ტვირთების დაზღვევა	0	-
სულ ანაზღაურება არასინცოცხლე	10,553	29,735
სიცოცხლის ვადიანი დაზღვევა	46	54
სულ ანაზღაურება სინცოცხლე	46	54
მილიანად ანაზღაურებული ზარალები	10,599	29,789
	<i>კვერდი</i>	23

შპს სადაზღვევო კომპანია “ალფა”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

19 სხვა სამართო და აღმინისტრაციული ხარჯები

	2014 წელი	2013 წელი
სოფლის ექიმების მომსახურება	93	1,097
მედიკამენტები და სამედიცინო მასალები	971	640
სამეურნეო ხარჯი	300	406
კომუნიკაციის დანახარჯები	307	288
საიჯარო ქირა	145	170
რეკლამის დანახარჯები	40	34
საკონსულტაციო ხარჯები	35	71
საკომისიო ხარჯები	-	1
გარანტიის ხარჯი	4	1
მივლინების ხარჯები	3	1
რემონტის დანახარჯები	68	66
საბანკო ხარჯები	1	4
ქონების გადასახადი	6	8
საგადასახადო და მარეგულირებლის ჯარიმები	-	-
საეჭვო და უიმელო ვალების ხარჯი/(აღდგენა)	0	9
საკურსო ცვლილების შედეგი	4	(7)
საწევრო გადასახადი	5	-
სხვადასხვა ხარჯი	163	42
სულ სხვა სამართო და აღმინისტრაციული	2,145	2,831

შპს სადაზღვევო კომპანია “ალფა”
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

20 მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები, პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

20.1 საგადასახადო გარემო

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას და ამავე დროს ეს კანონმდებლობა ხშირი ცვლილებების საგანია. აღნიშნული კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის, შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

20.2 სასამართლო საქმეების წარმოება

ჯგუფი ამჟამად არ არის ჩართული რაიმე ისეთ სასამართლო დავებში, რასაც შესაძლოა ჰქონოდა არსებითი გავლენა წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე ან ვალდებულებებზე, ან რომლის შესახებ რაიმე ინფორმაციის გახსნა იქნებოდა საჭირო.

20.3 ჯგუფის საოპერაციო გარემო

საქართველოს ჯერ კიდევ მნიშვნელოვანწილად განვითარებადი ბაზრის ქვეყნის თავისებურებები ახსიათებს. ბოლო წლებში მართალია შეიმჩნევა ეკონომიკის განვითარებაში საერთო გაუმჯობესება, მაგრამ საქართველოს ეკონომიკის სამომავლო განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მთავრობის ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად.

2010 წლიდან 2014 წლის სექტემბრამდე ჯგუფი ჩართული იყო სახელმწიფო დაზღვევის პროგრამებში, როგორც სადაზღვევო მომსახურების მიმწოდებელი და ამ პროგრამებიდან მიღებული შემოსავლები ჯგუფის შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა. 2014 წლის ბოლოდან ასეთი პროგრამების მართვა სახელმწიფომ აიღო.

20.4 ფინანსური რისკები

საკრედიტო რისკი

ფინანსური აქტივები, რომლებიც წარმოშობენ კომპანიის ძირითად საკრედიტო რისკს, უმთავრესად მისაღები სადაზღვევო პრემიის თანხებისგან შედგება. კომპანია ამცირებს მოთხოვნების საბალანსო ღირებულებას საეჭვო ვალდებულების რეზერვის თანხით, იმ მოთხოვნებისთვის რომელიც მენეჯმენტის შეფასებით შესაძლოა ამოუღებელი იყოს და მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ კონსოლიდირებულ ბალანსში წარდგენილი მოთხოვნები შესაფერისად ასახავს მოსალოდნელ საკრედიტო რისკებს. ნაღდი ფული დეპოზიტების სახით განთავსებულია ისეთ საკრედიტო ინსტიტუტებში, რომლებიც მინიმალური რისკის მქონედ არის მიჩნეული. ამდენად, ბანკში განთავსებული სახსრებიდან რაიმე მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი არ არსებობს.

შპს სადაზღვევო კომპანია "ალფა"
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

**20 მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები, პირობითი ვალდებულებები და
 საოპერაციო რისკები (გაგრძელება)**

20.4 ფინანსური რისკები (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის საოპერაციო შემოსავლები და საოპერაციო ფულადი ნაკადები ძირითადად არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე.

საკურსო სხვაობის რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები (ნახეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი) წარმოქმნის საკურსო სხვაობის რისკს. ქვემოთ მოცემულია კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით:

2014 წელი	ა.შ.შ.			სულ
	ლარი	დოლარი	ევრო	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,932	1	0	3,933
დებოზიტები	96	0	0	96
მისაღები სადაზღვევო პრემიები, გროსი	4,495	200	88	4,783
მისაღები პროცენტები	8	-	-	8
სხვა მოთხოვნები	1,868	-	-	1,868
სულ ფინანსური აქტივები	10,399	200	88	10,688

ვალდებულებები				
არასადაზღვევო მოკლევადიანი ვალდებულებები	3,632			3,632
გადასასაღებელი გადასახადები	78			78
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,710	-	-	3,710

სავალუტო პოზიცია	6,689	200	88	6,978
-------------------------	--------------	------------	-----------	--------------

2013 წელი	ა.შ.შ.			სულ
	ლარი	დოლარი	ევრო	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,264	2	0	2,266
დებოზიტები	1,277	0	0	1,277
მისაღები სადაზღვევო პრემიები, გროსი	9,209	26	50	9,284
გადამზღვეველისაგან მისაღები თანხები	-	-	-	-
მისაღები პროცენტები	75	-	-	75
სხვა მოთხოვნები	1,098	-	-	1,098
სულ ფინანსური აქტივები	13,922	28	50	14,000

შპს სადაზღვევო კომპანია "ალფა"
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

20 მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები, პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები (გაგრძელება)

20.4 ფინანსური რისკები (გაგრძელება)

ვალდებულებები

არასადაზღვევო მოკლევადიანი ვალდებულებები	3,748	-	-	3,748
გადასახადელი გადასახადები	104	-	-	104
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,852	-	-	3,852
სამალშტო პოზიცია	10,070	28	50	10,148

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი შეიძლება განსაზღვრულ იქნეს როგორც აქტივის მოკლე დროში ფულად ქცევის შეუძლებლობა, რასაც თან ახლავს მატერიალური დანაკარგები. ეს რისკი პირდაპირ კავშირშია მიმდინარე აქტივებისა და ვალდებულებების განაღების ვადებთან. ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი და ყველა ფინანსური ვალდებულება ერთ წლამდე ვადისაა და მათი თანაფარდობა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	1 წელზე ნაკლები ვადის მქონე	1-დან 5 წლამდე ვადის მქონე	5 წელზე მეტი ვადის მქონე	სულ
2014 წელი				
სულ ფინანსური აქტივები	10,688	-	-	10,688
სულ ფინანსური ვალდებულებები	(3,710)	-	-	(3,710)
ლიკვიდურობის სხვაობა	6,978	-	-	6,978
2013 წელი				
სულ ფინანსური აქტივები	14,000	-	-	14,000
სულ ფინანსური ვალდებულებები	(3,852)	-	-	(3,852)
ლიკვიდურობის სხვაობა	10,148	-	-	10,148

20.5 სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი რისკების მართვა

რისკის მართვის მიზნები

კომპანია სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილ რისკებს სხვადასხვა დონეზე მართავს. პირველ დონეზე კომპანია რისკების შემცირების მიზნით ახდენს ყველა სადაზღვევო კლიენტის იდენტიფიცირებას და ანალიზს.

შპს სადაზღვევო კომპანია “ალფა”
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგამის ახსნა-განმარტებითი შინაშენი
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

20 შინაშენილოვანი განუსაზღვრელობები, პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები (გაგრძელება)

ეს ანალიზი ტარდება ჩვეულებრივი პირადი საუბრებისას სადაზღვევო აგენტსა და სავარაუდო კლიენტს შორის, ხოლო თუ კლიენტი მნიშვნელოვანია, მაშინ ამ დისკუსიაში ჩართულია კომპანიის მენეჯმენტიც. რისკის მართვის შემდეგი დონე არის მენეჯმენტის პერიოდული შიდა შეხვედრები და განხილვები, სადაც განიხილება ზოგადად სადაზღვევო რისკები ბიზნესების მიხედვით. აქ განიხილება ისეთი საკითხები, როგორცაა, დაზღვიოს თუ არა კომპანიამ ეკონომიკის გარკვეული სექტორის რისკები და სხვა მსგავსი საკითხები.

სიცოცხლისა და არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტების ფასწარმოქმნა ეფუძნება კომპანიის მიერ წარმოებულ აქტუარულ-სტატისტიკურ ანალიზს, საქართველოს სადაზღვევო ბაზრისა და თავად კომპანიის მიერ წლების განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას/სტატისტიკას. კომპანიის მიერ ფასწარმოქმნაში აგრეთვე გათვალისწინებულია გადამზღვეველი კომპანიების მონაწილეობა და სადაზღვევო ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემო.

კომპანიის რისკის მართვის ზოგადი პოლიტიკა გულისხმობს არსებითი სადაზღვევო თანხების მქონე სადაზღვევო პოლისების გადაზღვევას, სადაც ეს შესაძლებელია.

ჯგუფის სადაზღვევო კონტრაქტების დიდი უმრავლესობა არის ერთწლიანი ან უფრო ნაკლები ვადის. ჩვეულებრივ სადაზღვევო შემთხვევის დადგომას და შესაბამისი ზარალის სრულად დარეგულირებას შორის დროის პერიოდი საკმაოდ მცირეა.

მოგება-ზარალისა და კაპიტალის დამოკიდებულება ცვლადებზე, რომლებიც ახდენენ მათზე გავლენას

ჯგუფის მოგება-ზარალი დამოკიდებულია გარკვეულ ფაქტორებზე, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის მენეჯმენტის კონტროლს, მათ შორის:

1. „სადაზღვევო კულტურა“ - პოლისების მფლობელთა ზოგადი გათვითცნობიერების დონე საკუთარ უფლებებში და დამოკიდებულება დამზღვევთან ზარალების შემთხვევაში;
2. საკანონმდებლო გარემო;
3. სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ღირებულების ცვლილებები

სადაზღვევო რისკების კონცენტრაცია

ჯგუფი საანგარიშგებო პერიოდში ჯერ კიდევ უფრო კონცენტრირებული იყო ჯანმრთელობის დაზღვევაზე, სადაც კლიენტების დიდ ნაწილს სახელმწიფო სექტორი შეადგენდა. თუმცა, 2013 წლიდან ჯგუფმა აქტიურად დაიწყო დაზღვევის სხვა სახეობების (ავტოდაზღვევა, უძრავი ქონების დაზღვევა, ტვირთების დაზღვევა) განვითარება და უფრო მეტი აქცენტი გადაიტანა კორპორატიულ კლიენტებზე.

21 ღირებულოვანი ანაზღაურება

	2014 წელი	2013 წელი
ხელფასი და პრემიები	236	236
სულ:	236	236
	<i>გვერდი</i>	28

შპს სადაზღვევო კომპანია "ალფა"
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შინაშენი
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 თანხები მოცემულია 1000 ლარებში თუ სხვაგვარად არაა მინიშნებული

22 დაკავშირებული მხარეები

საქმიანობის ნორმალურ პირობებში ჯგუფს ტრანზაქციები აქვს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან. ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების და ბალანსების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

დაკავშირებული მხარეები	კავშირის სახე	მოზიდული პრემია	მისაღები პრემია	სხვა მისაღები თანხები	ვალდებულებები
შპს "ავერსი ფარმა"	დამფუძნებელი	260	34	-	171
შპს "ავერსი გეოფარმი"		681	184	-	3,259
შპს "ავერსის კლინიკა"		324	563	0	1,311
შპს "ავერსი რაციონალი"	ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია	163	15	-	-
სს ერისთავის სახ. ექსპ. და კლინიკური ერისთავის ეროვნული ცენტრი"	ქვეშ მყოფი კომპანია	47	50	-	-
ავერსის საქველმოქმედო ფონდი		2	1	-	-
სულ:		1,476	846	0	4,741

გარდა ზემოთ ცხრილში მოცემული თანხებისა ჯგუფს აგრეთვე აქვს მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება 1,200 ათასი ლარის ოდენობით და 1,315 ლარი ამ სესხზე გადასახდელი პროცენტი შპს „ავერსის კლინიკისადმი“. სესხის ვადა არის 2015 წლის ივლისამდე და საპროცენტო განაკვეთია 20% წლიური. სესხი უზრუნველყოფილია ჯგუფის სადეპოზიტო სერტიფიკატით ამავე თანხაზე.

23 ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ ჯგუფის მფლობელებმა და მენეჯმენტმა დაიწყეს სადაზღვევო კომპანია "ალფას" შვილობილი კომპანია შპს „მედალფას“ გაყიდვის შესაძლებლობის განხილვა. ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის საბოლოო გადაწყვეტილება შვილობილის გასხვისებაზე ჯერ მიღებული არ არის. გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება ამ ოპერაციის შესაძლო ფინანსური ეფექტის შეფასებაზე. ეს აქტივი წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯერ არ არის კლასიფიცირებული როგორც "გამსვლელი ჯგუფი", რადგან ჯერ არ არის დაკმაყოფილებული ასეთად აღიარების ის კრიტერიუმები, რაც მოცემულია ფასს 5-ში "გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და გამსვლელი ჯგუფები". ბალანსის თარიღის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა რაიმე ისეთ ოპერაციას ან მოვლენას რასაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდა ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე, ან რაც მოითხოვდა დამატებითი ახსნა-განმარტებების წარმოდგენას.

24 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

2014 წელი არის 2009 წლის შემდეგ პირველი, რომელიც ჯგუფმა მოგებით დაასრულა. იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფს ფუნქციონირება არ შეუწყვეტია წინა პერიოდებში, როდესაც მნიშვნელოვანი ზარალები ჰქონდა, მიმდინარე წლის მოგებით დასრულება მენეჯმენტს აძლევს კიდევ უფრო მეტ საფუძველს მიიჩნიოს, რომ ჯგუფი მომავალში უწყვეტად გააგრძელებს ფუნქციონირებას. შესაბამისად წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საწარმოს ფუნქციონირების უწყვეტობის დაშვებით.

* * * * *